დნმ-ის დღე 2019

ესეების კონკურსი

წესები წერითი ესესთვის

რას გულისხმობს დნმ–ის დღესთან დაკავშირებული ესეების კონკურსი

60 წელზე მეტია რაც ჯეიმს უოტსონის და ფრენსის კრიკმა აღწერეს დნმ–ის ორმაგსპირალური სტრუქტურა. 25 აპრილი არის დნმ-ის საერთაშრისო დღე, რომელიც უკვე 10 წელზე მეტია, რაც ადამიანის გენეტიკის ევროპის და აშშ–ს საზოგადოებებმა დააწესეს და მათივე ორგანიზებით მთელ მსოფლიოში აღინიშნება ესეების კონკურსით.

წელს საქართველოში მეხუთედ ჩატარდება ესეების კონკურსი, რომელიშიც მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. კონკურსის ორგანიზატორები არიან თსსუ და სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოება.

ესეების კონკურსი ემსახურება გენეტიკაში ცოდნის გაღრმავებას და გენეტიკის მიმართულებების პოპულარიზაციას საქართველოში. კონკურსის მიზანია სტუდენტი გამოწვევის წინაშე დააყენოს, დააფიქროს გენეტიკური კვლევების როლზე და მისი გამოყენების მნიშვნელობაზე მედიცინის და საზოგადოებისთვის. ესე უნდა შიცავდეს არსებით, კარგად დასაბუთებულ არგუმენტებს, რომელიც დაადასტურებს სტუდენტის მიერ იმ საკითხის ღრმა ცოდნას, რომელიც კონკურსში გამოცხადებულ თემებს შეეხება.

სანამ დაიწყებთ გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ წესებს !

მონაწილეები

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სამედიცინო და ბიოლოგიური პროფილის სტუდენტებს. ასაკი შეზღუდული არ არის. ესეების კონკურსი ქართულენოვანია.

უნდა აირჩიოთ ორიდან ერთ-ერთი თემა

თემები 2019:

თემა I

„რატომ მოქმედებს გენის რედაქტირება და რატომ არის ამ მიდგომის მიმართ ასეთი დიდი მოლოდინი?“

პასუხი უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

1. აღწერეთ, როგორ მოქმედებს გენის რედაქტირება.

2. გააკეთეთ კომენტარი, როგორ შეიძლება ამ მეთოდის გამოყენება დაავადების სამკურნალოდ.

3. ამჟამად რომელი დაავადებებისთვის იყენებენ ამ მეთოდს და რომელი დაავადებების განკურნებაა შესაძლებელი.

4. როგორია თქვენი აზრი ადამიანის შესაძლებლობების გაზრდის (და არა მკურნალობის) მიზნით გენის რედაქტირების გამოყენების თაობაზე?

თემა II

ჯონათანს, 50 წლის მამაკაცს, ჰანტინგტონის დაავადების დიაგნოზი დაუსვეს. მის გენეტიკოსს, კარენს, სურს მიიღოს ჯონათანის თანხმობა, რათა ეს დიაგნოზი მის შვილს, სარას, უთხრას, რომელიც 25 წლის არის. ჯონათანი წინააღმდეგია, რომ კარენმა ან სხვა ექიმმა დიაგნოზი გაუმხილოს სარას. (1) მოიყვანეთ არგუმენტები ჯონათანის პოზიციის მხარდასაჭერად და საწინააღმდეგოდ, განიხილეთ ისტორიის ყველა მოქმედი პირის მიზნები, უფლებები და ვალდებულებები; (2) შემდეგ აირჩიეთ ერთი არგუმენტი და დაიცავით იგი ჰანტინგტონის დაავადების შესახებ თქვენი სამეცნიერო და სამედიცინო ცოდნის გამოყენებით.

ესე უნდა პასუხობდეს ამ ორი საკითხიდან ერთ-ერთს (სხვა საკითხებთან დაკავშირებული თემები არ განიხილება)

პრიზები

პირველი ადგილი - 300 ლარი

მეორე ადგილი – 200 ლარი

მესამე ადგილი – 100 ლარი

მნიშვნელოვანი თარიღები

20 იანვარი – ესეების წარდგენის დაწყება

31 მარტი – ესეების ჩაბარების ბოლო ვადა

25 აპრილი – გამარჯვებულების გამოვლენა (შედეგები გამოქვეყნდება ვებ საიტზე: **www.geneticsgeorgi.org** და ფეისბუქ გვერდზე: **@geneticsgeorgia**)

12 მაისი - დაჯილდოების ცერემონია მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე: „ადამიანის გენომი და ჯანმრთელობა: ტრანსლაციური მედიცინა ომიკების ერაში“, ქორთიარდ მერიოტი, თბილისი, საქართველო.

ესეების წარდგენის წესები

- ესეს წარდგენის ბოლო ვადაა 2019 წლის **31 მარტი** 17:00 სთ;
- ნაშრომი უნდა გამოგზავნოთ ელ. ფოსტაზე: dna@geneticsgeorgia.org
- ნაშრომი უნდა იყოს pdf ფორმატში და მოიცავდეს პირველ; გვერდს, სადაც აღნიშნული იქნება გვარი, სახელი, სასწავლო დაწესებულების დასახელება, ფაკულტეტი, კურსი, ტელ. ნომერი, ელ.ფოსტა
- ფაილს უნდა მიანიჭოთ სახელწოდება შემდეგი თანამიმდევრობით: **გვარი_სახელი_ესეს ნომერი (1 ან 2)_ dnaday_ essay_ 2019** (გვარი, სახელი ინგლისურ ენაზე).

  ნიმუში: Kiknadze_Ana_1_dnaday_ essay_ 2019;
- ველში **“ საგანი (subject)”** მიუთითეთ: **თქვენი გვარი_სახელი (ინგლისურად)_ესეს ნომერი (1 ან 2)_ dnaday_essay_ 2019.**

ნიმუში: Kiknadze_Ana_1_dnaday_essay_ 2019;

- მიამაგრეთ pdf ფაილი და გამოგზავნეთ.

ესეს ერთი ეგზემპლარი უნდა **წარადგინოთ ნაბეჭდი სახით** თსსუ–ს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში (ვაჟა ფშაველას 29, I კორპუსი IV სართული). ნაბეჭდ ვერსიას უნდა ჰქონდეს თავფურცელი, სადაც აღნიშნული იქნება გვარი, სახელი, სასწავლო დაწესებულების დასახელება, ფაკულტეტი, კურსი, ტელ. ნომერი, ელ.ფოსტა.

დაგვიანებით წარდგენილი ესეები არ განიხილება.

შენიშვნა:

ყველა ნაშრომის მიღებული იქნება აკადემიური პატიოსნების წესების დაცვით, რაც გულისხმობს პლაგიატიზმის (სხვისი ნაშრომის ან აზრის გამოყენება ციტირების გარეშე) გამოვლენას. ნაშრომი, რომელიც შეიცავს პლაგიატიზმის ნიშნებს მოხსნილი იქნება კონკურსიდან. დასაშვებია APA ან MLA სტილით ციტირება **(იხ. ციტირების წესები)**
უნდა გამოიყენოთ რამდენიმე **მაღალი ხარისხის** ლიტერატურა

ციტირების წესები:

ციტირება უნდა მოხდეს MLA ან APA სტილით.

- ფრჩხილში **ციფრი** მიუთითეთ ნაშრომის ბოლოს ჩამოთვლილი ლიტერატურის სიის შესაბამისად.
- ან ფრჩხილში მიუთითეთ **ავტორის გვარი და წელი,** მაგ., (Harris et al., 2001).
- ლიტერატურის სია შედგენილი უნდა იყოს ალფავიტის მიხედვით და შემდეგი თანმიმდევრობით:

- ავტორის გვარი/ები,
- წელი
- სტატიის სათაური,
- წყარო (ჟურნალის დასახელება)
- ჟურნალის ნომერი
- გვერდები

ნიმუში: Berndt, T. J. (2002). Friendship quality and social development.*Current Directions in Psychological Science, 11*, 7-10

ასევე გაითვალისწინეთ:

ციტირების დროს არ უნდა შეიცვალოს ორიგინალის შინაარსი.
თუ რაიმეს დაამატებთ ფჩხილებში თქვენი ინიციალები უნდა აღნიშნოთ მაგ., (დამატება; ა.ნ.)

ძალზე მნიშვნელოვანია:

შესაფერისად არ ჩაითვლება ნაშრომი, რომელიც შედგება მხოლოდ (ან დიდი ნაწილი) ციტირებული ტექსტისგან (მონაცემებისგან). გათვალისწინებული იქნება თქვენი მსჯელობა და არა სხვისი ნაშრომის არსის გადმოცემა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოყენებული წყაროების მიუხედავად, ძირითადი არსი თქვენს მიერ იყოს ჩამოყალიბებული.

ფორმატი

ესეს ტექსტი არ უნდა შეიცავდეს **750 სიტყვაზე მეტს** (სათაურის და ლიტერატურის სიის გარეშე).

ტექსტი უნდა იყოს **ქართულ ენაზე** სილფაენით დაბეჭდილი, MS Word–ში და pdf-ზე დაკონვერტირებული, 12 შრიფტით, სტრიქონებს შორის შუალედი 1,5.

ნებადართულია ერთი შესაბამისი გრაფიკის ან სურათის დართვა და სტუდენტის ერთი სურათის დართვა. გრაფიკის ან სურათის განმარტებები ჩაითვლება 750 სიტყვის ნაწილად.

ესე pdf ფორმატში უნდა გამოგზავნოთ ელ. ფოსტაზე dna@geneticsgeorgia.org

ესეს ერთი ეგზემპლარი უნდა წარადგინოთ **ნაბეჭდი სახით** თსსუ–ს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში.

დამატებით კითხვებთან დაკავშირებით მოგვმართეთ თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში, ტელ: 599298168, ელ.ფოსტა: geoepigene@gmail.com

შეფასება

ესეს შეაფასებს სულ მცირე ორი დამოუკიდებელი გენეტიკოსი ექსპერტი

შეფასებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- გენეტიკური შინაარსის სიზუსტე (0-7 ქულა)
- არგუმენტის მხარდასაჭერად მტკიცებულებების გამოყენება (0-3 ქულა)
- არის თუ არა ფოკუსირებული მოცემულ საკითხზე (0-3 ქულა)
- წერის ხარისხი (მკაფიო თეზისები, შინაარსი) (0-5 ქულა)
- გამოყენებული ლიტერატურა და ციტირება (0-2 ქულა)

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა - 20 ქულა

შეირჩევა სამი გამარჯვებული I, II და III ადგილებზე. ყველა მონაწილე მიიღებს მონაწილეობის სერტიფიკატს. გამარჯვებულები გამოვლინდებიან 25 აპრილს. მათი ფოტოები და ესეები გამოქვეყნდება ვებ საიტზე: **www.geneticsgeorgia.org.**

გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართება მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე: „ადამიანის გენომი და ჯანმრთელობა: ტრანსლაციური მედიცინა ომიკების ერაში“, 11-12 მაისი, ქორთიარდ მერიოტი, თბილისი, საქართველო.

წარმატებებს გისურვებთ!